ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5017841

ნომერი: AR1755603

თარიღი : 25.06.2020

გაცემის თარიღი : 09.07.2020

გაცნობის თარიღი : 29.08.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ფარნავაზ მეფის გამზირი, N 12;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეიმურაზ ელკანიშვილი პ/ნ 01019012914
- თბილისი, საბურთალოს რაიონი, ფარნავაზ მეფის ქუჩა N14

ორგანიზაცია:

- შპს მონოლითი 1 კოდი: 405199315

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 16 ოქტომბრის №393154 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 25 ივნისის #AR1755603 განცხადებით მომართა შპს „მონოლითი 1“-ის დირექტორმა თეიმურაზ ელკანიშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 16 ოქტომბრის №393154

ბრძანებითდამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 16 ოქტომბრის №393154 ბრძანებით ქ. თბილისში, დიდ დიღომში, ფარნავაზის გამზ. ავტოსადგომის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.10.06.010.009; ფართობი: 888 კვ.მ.) მრავალფუნქციური კომპლექსის განთავსების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. სამსახურის 2017 წლის 18 მაისის №3268282 ბრძანებით, ქ. თბილისში, სექტორი საბურთალო, ფარნავაზ მეფის ქ. #14- ში, შპს მონოლითი-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი N 01.10.06.010.009), შეთანხმდა მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული პროექტი. სამსახურის 2018 წლის 26 იანვრის №3793985 ბრძანებით შევიდა ცვლილება 2012 წლის 16 ოქტომბრის №393154 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საპროექტო ობიექტის დასახელებად დაფიქსირდა: მრავალფუნქციური კომპლექსი, სკვერი, ღია ავტოსადგომი; ასევე გაიზარდა მიწის ნაკვეთის ფართობი და შეიცვალა საკადატრო მონაცემები: საკადასტრო კოდი #01.10.06.010.025; ფართობი 2695 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი N892017258031 რეგისტრაციის თარიღი: 22/12/2017 წ.
2019 წლის N3919069 ბრძანებით კვლავ შევიდა ცვლილება ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 16 ოქტომბრის №393154 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საპროექტო ობიექტის დასახელებად დაფიქსირდეს: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, სკვერი, ღია ავტოსადგომი.
ამჟამად, განმცხადებლი ითხოვს, შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის2012 წლის 16 ოქტომბრის№393154 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საპროექტო მიწის ნაკვეთის კოდად ახალი საკადასტრო კოდის დაფიქსირებას (ს/კ 01.10.06.010.025).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, სამსახუმა ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიიჩნია ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 16 ოქტომბრის №393154 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 16 ოქტომბრის №393154 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 16 ოქტომბრის №393154 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში დაფიქსირდეს განახლებული საკადასტრო გეგმა (საკადასტრო კოდი #01.10.06.010.025; ფართობი 2879 კვ.მ, რეგისტრაციის ნომერი N882019859944 რეგისტრაციის თარიღი: 29/10/2019 წ.) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 16 ოქტომბრის №393154 , 2018 წკუს 26 იანვრის N3793952 და 2018 წლის 18 აპრილის N3919069 ბრძანებებთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

.

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ

ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.